წელიწადი 1-ლი ფასი 3 შაური. №. 76. სამშაბათი ნოემბრის 21—(3) 1917

ჩვენი ქვეყანა

ფასი:
თვიურათ . . . 30 ფან.
ოთხი თვით . . . 1 თეთრი.
ცალკე ნუმერი . . . 2 შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე მეტრი ერთ ... 40 ...
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარეთ 30 ... ...
... ...
... ...
... ...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სასარგებლოთ საზოგადო დარბაზში 25 ნოემბერს

გაიმართება დიდი საღამო

თბილისიდან გამოწერილი არიან მომღერალნი, მაკეკვარნი, მემუსიკეანი, საზანდარი, ჩაი, საუცხოო ვახშამი, საჯარო ვიქრობა, პტიშვო და სხვა.

დაწვრილებით აფიშებში და პროგრამაში.

რადას, უკრაინაში წესრიგის დასაცავად და მთელი რუსეთის გადასარჩენად, დღეიდან ვაცხადებთ, რომ უკრაინა დღეიდან იქნება უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც არ ჩამოჰშორდება რუსეთს და მჭიდროდ იქნება მასთან შეკავშირებული. მტკიცედ დავდგეთ ჩვენ მიწა წყალზე, რათა ჩვენი ძალებთან ავეხმარნეთ რუსეთს, რომ მთელი რუსეთ სხვადასხვა დევნილ ერების ფედერაციად გადაიქცეს. უკრაინის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ჩვენს მიწა-წყალზე წესიერების შექმნის, კონუნების გამოცემის და მართვა-გამგეობის უფლება გვენიჭება ჩვენ, უკრაინის ცენტრალ რადას, ჩვენ მთავრობას, — გენერალურ სეკრეტარიატს, რომელიც იგრძნობს საკუთარ ძალას სამშობლო მიწაზე და დაუფლება დარიჯად უფლებას და რევოლუციას, როგორც ჩვენში ისე მთელს რუსეთში. ამიტომ ვაცხადებთ: უკრაინის სახალხო რესპუბლიკაში შედის ეთნიკურად უკრაინელებით დასახლებული ოლქები: კიევშინა, პოდოლია, ვოლინი, ჩერნიგოვშინა, პოლტავშინა, ხარკოვშინა, ეკატერინოსლავშინა, ხერსონშინა, ტავრია უყირიმოდ. უკრაინის რესპუბლიკის საზღვრები საბოლოოდ დაკანონდება ერებთან შეთანხმებით და ამავე გზით გადაწყდება კურშინის, ვორონეჟშინის, ხოლმშინის და აგრეთვე სხვა მეზობელ გუბერნიების უმეტესად უკრაინელებით დასახლებულ ოლქების საკითხი.

მთავარ მდივნების გადადგომა

რაკი რადამ უნივერსალი ამ რეფორმიათ მიიღო, რომელსაც ზოგიერთა პოლონური წრეები არ იხიარებენ, ამიტომ პოლონურ საქმეთა მთავარი მდივანი მიკეევიჩი გადადგა. აგრეთვე საერთაშორისო საქმეთა მთავარი მდივანი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ფედერალისტი კაკ. შუფგინი. გადადგომის მიზეზი: უკრაინის რესპუბლიკის გამოცხადება.

უკრაინა და რუსეთი.

ნოემბრის 8-ს საღამოთი ცენტრალ რადამ გამოაქვეყნა უკრაინის დამოუკიდებლობის უნივერსალი.

პროფესორ გრუშევსკის უთქვამს: მართალია ზომენტი გვიკარნახებს უკრაინაში ძალადობის მოსაწყობად გამგეფული ნაბიჯი გადადგეთ უკრაინა ანარქიისა და სამოქალაქო ომის საშინელებათაგან უნდა ერიჩინათ.

რადამ უნივერსალი ფეხდგომელამ მოიხსენა, უნიკერსალით ცხადდება, რომ დღეიდან უკრაინა უკრაინის რესპუბლიკად ითვლებოს და იგი რუსეთის რესპუბლიკას არ გამოეყოფა. რესპუბლიკის ნაშდეფილი საზღვრები დამყარდება შემდეგში, როდესაც მთელი ერი თვის ნებას გამოაცხადებს.

უნივერსალის გამოცხადებას მოზღვავე ბევრი ხალხი დაესწრებულან ოფიციალით და ენერგიის ძახილით შეეგებენენ. ისმოდა ლაზარეთ „ზნეენ ვეერლ უკრაინა“ (უკრაინა ჯერ არ მოკვდარა).

ბალერ რადაში უნივერსალმა 42 ხმა მიიღო, 4 თვეი შეიკავა.

უკრაინის დროშების დაბრუნება.

ბალბერო სარეფოლუციო კომიტეტმა ბოლოს ხელმოთ დაუბრუნა უკრაინის ერებიერნი და ფეოლიცალების. ტაბარში ბეზოსტო დროშები და ლრამოტები, რომელიც ამეთვრამეტე საუკუნეში უკრაინელებს იმპერატორიცა ეკატერინემ წაართვა.

ბესარაბიის ავტონომია.

ბესარაბიის მხედართა პირველ ყრილობაზე მიიღეს მოლდაველთა კომიტეტის წინადადება ბესარაბიის ტერიტორიალ ავტონომიის განხორციელებისა. ეს ყრილობა ბოლოს იყო რეგოლუციონურ ბრძოლ, წინაადმდეგ უმეღლეს მთავარსარდალის ალეკსანდროვისა.

რუსეთი და უცხოეთი.

18 მილიონი ფუთი პური

ბინუსინის მხარეში ამ ბოლოდ გაჩენილი ოქროვანი 18 მილიონი ფუთი პური. ეს ამბავი ეხა კეთდება და ლიანდაგის უქონლობის გამო ვერ გამოიტანია.

საქონელი და ერბო

ბერლინ ბარდ ბინუსინის მხარეში აიკრეფილი საქონელი და ერბო ჰქონიათ დაგროვილი; მაგრამ ლიანდაგის უქონლობის გამო ვერ ბოლშევიკებმა ...

საფრანგეთის სამინისტროს გამოცვლა

ბელგიის სამინისტროო გეოლობისაგან ... 8 დაეყენა. ...

ამ გამოურკვეველ ვოტუმის შემდეგ, როდესაც პალატის უკიდურესი ფრთები შეკრთა. ომის დაწყების შემდეგ ეს პირველი სამინისტროა, რომელიც გადაყენეს. სხვა ყველა სამინისტროები თავის-თავად გადადგებოდნენ ხოლმე. პოლიტიკური მდგომარეობა მეტად არეულ-დარეულია. ვოტუმმა არ მისცა არავითარი ნებეენ ...

ტვეე გერმანელთა შეიჭმულება

ციმბირში ავმოაჩინეს ტყვე გერმანელთა ფიცი შეიქმულება. ციმბირის რკინიგზის ბანაკებში ტყვე-გერმანელებს ფართე ორგანიზაცია მოეწყოვათ. გერმანელებს შეეგენათ ცალკეცალკე კორპუსები, „ურჩეენათ უფროსები და შტაბი. შეთქმულებს შეეკრებინათ საკუთარი სანტენდანტო დ. უკვე შესდგომიან სურსათ სანოვაგის დამზადებას. შტაბს უკვე შემზადებული ჰქონია იარაღის ხელში ჩასაგდებად სრული გეგმა. შეთქმულების ყველა მეთაურ-ოფიცრები უკვე დაუტესდებიათ.

ცარცვა-გლეჯა ხარბინში

იაპონური გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ, იმ გარემოებას, რომ ხარბინში თავი იჩინა ცარცვა-გლეჯამ და ყაჩაღობამ. ზარადდებინან იაპონელებიც. მეზოარეთა ქონებანი სრულებით არაა უზრუნველყოფილი. მეცველები არ არიან. მილიცია საკმაო არ არის.

მსოფლიო ომი.

ბ. ბ.

დეპეშები.

ალმოსაგლმთის ფრონტის შესუსტება.

ავსტრიელ და გერმანელთა ტყვეების სტატეეთ რუსეთის ფრონტიდან იტალიისაკენ გერმანელებს აუთრეფია ჯარი გადაუყვანიათ. ესთი რიცხვი ადის 121 დივიზიამდე ანუ 1,423,000 კაცამდე. რუსეთის ფრონტზე თითო დივიზიაში 600 კაცი ღა დეუტოვეთოთ.

სიმშილი ფრონტზე

ჩრდილოეთის ფრონტის შტაბი ნოემბრის 9-ს თარიღით იტყობინება: დაგვიანება ალარ შეიძლება. სიმშილით ნუ ამოჰხოცავთ ფრონტზე მყოფ ჯარის კაცებს. ჩრდილოეთის ფრონტის ლაშქარს რამდენიმე დღეა უკვე რაც ერთი ნატეხი პური არ მოეპოვება. ორ-სამ ღღის შემდეგ ალარც ორცხობელა ექნება. მახლობელი დეინის სამხედრო ოლქი დაბრძანებს ვერ გვიშველ ამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმე ეს ვაგონის მაგიერ სულ რაღაც 20 ვაგონი მიგვიღეთ.

პურით დახმარება ფრონტს.

ბარკოვის სასურსათო გამგეობას ნოემბრის 9-ში ჩრდილოეთის ფრონტისაკენ 25 ვაგონი ფქვილი გაეგზავნია. ამავე გამგეობამ დასავლეთის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს 8 ვაგონი ბულეული მიაშველა.

დასავლეთის ფრონტი.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. ნოემბრის 7. ინგლისის და საფრანგეთის ჯარების ფრონტზე მდგომარეობა ოფიციალ ცნობების მიხედვით არ შეცვლილა. გერმანელების თავდასხმა ფრანგ-ინგლისელების თავდასხმის სცვლის. ალაგ-ალაგ ხარბანნებ. ბის სროლა.

დიდი ბრძოლის სამზადისი.

ამის წინად მოეკავშირეენს რუსეთის წარმომადგენელის დაუსწრებლად სამ ხედრო თათბირი ჰქონდათ გამართული, რომელზედაც შეიმუშავეს, საერთო გეგმა სამხედრო მოქმედებისა, მოკლე ხანში ინგლის საფრანგეთ იტალეთის შეერთებული ლაშქარი დიდ შეტევას დიდ ...

ბრძოლა ეროსალ-მთან

ინგლისის ოფიციალი ... ...

ამიერ კავკასიის მთავრობის დეკლარაცია

ამიერ კავკასიის ერებს, რომელთაც ეს წელზე მეტია რუსეთთან ერთად უხდიათ სიარული და ბედის ქედზე, დღეს პირველად უხდებათ საკუთარ ძალღონით გაუძღვენ ეკონომიურ თუ სახოგადოებრივ მოსალოდნელ კატასტროფის საშინელებას.

შესძლებს თუ არა ამიერ კავკასიის რევოლუციონური დემოკრატია შეინარჩუნოს რევოლუციის მიერ დაპყრობილი ყოველი ნაბიჯი ყველგვარი განსაცდელისაგან, ან მისცემს თუ არა მაგალითს ამ მხარეს რევოლუციონურ წესწყობილების უზრუნველყოფის გარანტიებს, რომ იმავე დროს ცენტრალ რუსეთზე მოახდინოს შესაფერი გავლენა დემოკრატიულ წრეებში სამოქალაქო ომის სალიკვიდაციოდ და ერთფეროვან, რევოლუციონურ, ყველას მიერ აღიარებულ რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის შესაქმნელად,—აი, ყველა ამ საკითხებისგან დამოკიდებული ამიერ კავკასიის ერთა ბედი და მათი ნორმალური განვითარება.

ამიერ-კავკასიის ცხოვრების ამ გზით წარსაგზავნელად, ყველა სოციალისტურ პარტიებისა და რევოლუციონურ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდეგ შედგენილია ამიერ-კავკასიის მთავრობა. მთავრობა იგი დროებით არის შედგენილი, ისიც მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. თუ რუსეთის სინამდვილე შეჰქმნის ისეთს გარემოებას, რომ თავის დროზე შეუძლებელი იქნება მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება, მაშინ მთავრობა იგი თავის თანამდებობას შეინარჩუნებს ამიერ-კავკასიის და კავკასიის ფრონტის დამფუძნებელ კრების წევრთა სრულს ყრილობამდე.

ამავეთმაც, როგორც დროებითი მთავრობა, იგი მიზნათ ისახავს გადასჭრას მცხოვრებთა უსაპრობოროტოფისა საკითხი:

აწყნელ დაწყნელ ფინანსების მოწესრიგებაზ; ლაშქრისა და მცხოვრებთა ხსნა ოუცილებელ შიმშილობისგან და მათი უზრუნველყოფა სურსათით; ტრანსპორტისა და გზების გაუმჯობესობა; სწორი და უანგელი დემობილიზაცია ზავის შეკვრის დროს; სახოგადოებრივ წესჩარგის დაცვა; ცენტრალი ფარმობისა და შრომის განაწილების შესახებ; შრომისა და მუშათა კლასის ინტერესების ყოველგვარი დაცვა; დაუყოვნებლივ დემოკრატიურ ერობის შემოღება; დაუყოვნებლივი დემოკრატიულ ერობათა კომიტეტების ორგანიზაციათა შედგენა იქ, სადაც ჯერ არ დაუარსებიათ, მათ ხელში გადაცემა საუფლისწულო, სახაზინო და საკერესული მიწებისა, აგრეთვე კერძო მსხვილ მემამულეთა მიწებისა, რომელთა შესახებაც ახლო მომავალში გამოიცემა. როგორც საკონფისკაციო, ისე ყველა მიწების მოწესრიგების აქტი, რომ ამით მოეგებოდოთ დამფუძნებელი კრებისათვის მიწის ფულობელობის კანონის შესადგენთ; დაუყოვნებლივ წოდებრივობათა უპირატესობის მოსპობა და ყველი იმ დაწესებულებათა გაუქმება, რომელნიც წოდებათა ინტერესების დასაცავად ჰქონდა დაარსებული; ჩვენს გარშემო მცხოვრებ ხალხთა შორის კეთილ სინდისიერი დამოკიდებულება, თუ ისინიც სამართლიანად იცნობენ რევოლუციის მიერ მოპოებულს ყოველ გვარს ნაბიჯს.

ამიერ კავკასიის კომისარიატი მხარს უჭერს რუსეთის რევოლუციის მიერ აღიარებულ ხალხთა სრულ თვით-გამორკვევის საჭიროებას და ეცდება ამიერ კავკასიაში ეროვნული საკითხი მოკლე ხანში სიმართლიანად გადასჭრას.

ამიერ კავკასიის კომისარიატი საჭიროდ სცნობს სრულიად რუსეთის ფრონტის მთლიანობის დაცვას და ფრიად ენერგიულ ნაბიჯებს გადასდგამს დაუყოვნებლივ ზავის ჩამოსაგდებად; ამ მიმართულებით ამიერ-კავკასია კომისარიატი ყოველ ნაბიჯს გადასდგამს კავკასია მკვიდრ ერებთან თანხმობით, თანაც მხედველობაში ექნება დასავლეთის ფრონტის საერთო მდგომარეობა და ადგილობრივი ცხოვრების პირობები.

ყველა აქ ჩამოთვლილი საკითხების გადაჭრა იქნება საფუძველი და შინაარსი ახლად შემდგარ საოლქო მთავრობის მოქმედებისა.

ამ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელება შეიძლება მხოლოდ ერთის პირობით: თუ ჯარმა და მუშაებმა, — მუშებმა, ჯლეხებმა და ჯარისკაცებმა, — ენერგიულად დაუჭირეს მხარი ამიერ-კავკასიის რევოლუციონურ მთავრობის ყველ ღონისძიებას!

ამიერ-კავკასიის კომისარიატის განკარგულებანი და პრძანებანი შეურყეველად უნდა სრულდებოდეს ადგილობრივ.

ამ მთავრობისადმი ყოველი უარჩობა ამიერ-კავკასიის ერთა არსებითი ინტერესების წინააღმდეგ ხელის აღმართვად ჩაითვლება და ისე ჩაითვლება როგორც ბოროტი სამოქალაქო და ეროვნებათა შორის განხეთქილებისაკენ მიმართული მოქმედება, რის მოსასპობადაც ამ მთავრობის შემქმნელი პარტიები და ორგანიზაციები ყოველ ზომებს არ დაერიდებიან.

ამ ძნელ ტერიტის აღებისათვის ამიერ-კავკასიის კომისარიატი მოპმართავს ყველას, ვისთანაც ძვირფასია რევოლუციისა და თავისუფლების ინტერესები, მჭიდროდ შეეკვრნენ ამიერ-კავკასიის მთავრობის გარშემო და მხარდამხარ გაჰყვნენ მას რევოლუციონურ შემოქმედებითი მუშაობის გზაზე:

ამიერ კავკასიის ერებო!

თქვენი ბედი თქვენსავე ხელშია.

დავამტკიცოთ, რომ ღირსნი ვართ ამ დიადი მისიისა!

ალუმაღლდეთ ამ ისტორიულ მიზნებამდის და ეხლადვე ვაჩვენოთ მთელს ქვეყანას, თუ როგორ უნდა დიდი რევოლუციის ცენტრთა მტკიცედ დაცვა და მათი ცხოვრებაში გატარება.

ბელი უფრთოთ ამიერ-კავკასიის ყველა კომისარებს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

მთავარ კომიტეტში

ერ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტში მოწვეული არიან კოოპტაციის წესით „საქართველოს“ სარეფაქტო კოლეგიის წევრნი ტიტე ტაბიძე და ალექსი ჯაფარიძე; აგრეთვე ბ. ჯაიანი და ინე. ბეს. ჭიკნაძე.

ჩხენაელი და ბიწის საკითხი.

გიორგობისთვის 24 ა. ი. ჩხენაელმა სოხუმის ოლქისა და უბნების კომისარებს და გაერთიანებულ დეპუტატთა საბჭოების თავმჯდომარეს შემდეგი მინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„გვიგე, რომ საქართველოს თავად-აზნაურობის მიერ ქართველ ერისადმი თავისი, როგორც წოდების ერნების ბოდმაცემის შესახებ სოხუმში ნათქვამი ჩემი სიტყვები ისე აუსნიათ, თითქოს თავადებისა და აზნაურების კერძო მამულებიც ქართველი ხალხის ხელში გადადიოდეს. რუსეთის რევოლუციამ მოსპო ყოველივე წოდებრივი უპირატესობანი და ქართველმა დემოკრატიამ ეს პრინციპი განაბორკილა იმით, რომ თავად-აზნაურობა აიძულა თავისი ქონება მოელი ხალხისთვის გადაეცა.

ვიდრე რუსეთის დამფუძნებელი კრება მიწის საკითხს არ გადაწყვეტს, კერძო საკუთრება ხელშეუხებელი უნდა დარჩეს. მიწის საკითხის თავის ნებით გადაჭრა ეგმოიწვევს ანარქიას, რომელიც თვით ჯლეხებისთვის იქნება საზარელი.

ამიერ კავკასიაში უკვე შესდგა მიწად მოქმედების საშინაოტრო კომისარიატი, რომელმაც უნდა დაამზადოს ყველი ის მასალა რომელიც დამფუძნებელ კრებაზე მიწის საკითხის გადასაჭრელად იქნება საჭირო“.

ა. ჩხენკელი წინადადებას აძლევს მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს თავის ნებით ანარქიული გამოსვლების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღონ და შეიარაღებული ძალაც კი მოიხმარონ. საზოგადო ორგანიზაციებს კი მოუწოდებს მხარი დაუჭირონ მათ და განუმტკიცონ ხელნი. რომ ანარქიული გამოსვლები რეკოლუციას დაეფუძვნეს.

ჩრდილოეთ კავკასიის ყაზახები.

ჩრდილოეთ კავკასიის ყაზახებმა ბოლშევიკებისადმი გრძელვადეთ ბტული პოზიცია დაიკავეს მათ განაცხადეს, რომ თუ ამიერ კავკასიის დეპუტატთა საბჭოები გაჰბედავენ და ბოლშევიკებს მიემხრობიან, მთელ ამიერ-კავკასიას ბრძოლა მოუცხადებ ბ შიმშილით ამოვხოცავთო. როგორც სჩანს ამ მუქარას სათანადო შედეგი ეუბნ მოჰყოლია: ბოლშევიკებმა ალანიის დაწყებისთანავე შესწყვეტეს და ვიდარ გაბედეს ძალა უფლების ხელში ჩაგდება.

ინგლისელები და ამიერკავკასიის რკინის გზა.

სარკინიგზო გამგეობამ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს დეკემბერში შეატყობინა: მესოპოტამიაში სამხედრო მოქმედების წარმოების გამო ინგლისელებს ძალიან აინტერესებს კავკასიის რკინის გზები, ამ გზების დ[illegible]ალიერებლად უკვე წამოვ[illegible]და სამი ინ[illegible]ელი ინჟინერი, რომელთაც ჰმეთაუროობს დიდი გამოცდილების მქონე და რკინის გზის საქმეების მცოდნე პოლკოვნიკი არჩაბალდ ჯეკსი, რომელსაც დავალებული აქვს დაწერილებით შეიტყვოლოს კავკასიის რკინის გზების მდგომარეობა, რის შემდეგაც შეუდგებიან სარკინიგზო საქმის გაუმჯობესებას კავკასიაში.

ყაზახები და ფულის საკითხი.

გიორგობისთვის 10-ისთვის ნოვოჩერკასკში სამხედრო მთავრობის მიერ დანიშნული ი

ნაწილობას ყოველივე საზოგადო საქმეში; ანასაკეთებენ ამ იესეს ბიბლიოთეკა ... ...